შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

№50 (9.764)

30 დეკემბერი 2016 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გ ი ლ ო ც ა ვ თ !

ჩემო დედოფლისწყაროელებო, გილოცავთ ახალ 2017 წელს.

გასული წელი წარმატებული იყო ჩვენი ქვეყნისთვის. უამრავი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. საქართველო ერთმნიშვნელოვნად დაადგა აღმშენებლობის გზას. სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და ჯანდაცვის სექტორის გაუმჯობესების მიზნით. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების სიკეთე უამრავმა ადამიანმა გამოსცადა.

მეამაყება, რომ დედოფლისწყაროელი ვარ! მეამაყება, რომ ვიყავი ამ მუნიციპალიტეტის გამგებელი და ჩემი გამგებლობის ერთწლიანი მოღვაწეობის დროს დედოფლისწყაროში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 40 მილიონი ლარი დაიხარჯა. გაკეთდა გზის ის მონაკვეთები, რომლის რეაბილიტაციაზეც ხალხს ოცნებაც არ შეეძლო.

შიდა გზებთან ერთად სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელ გზებს. სოლიდური თანხები დაიხარჯა მდინარე ალაზნის ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვისაც.

მდინარე ალაზანი ტრანსსასაზღვრო მდინარეა და კალაპოტის ცვლილება დედოფლისწყაროს ტერიტორიის საკუთრებაში არსებული 200 ჰექტარი მიწის -კაკლისყურეს დაკარგვის საშიშროებას ქმნიდა. ჩემი გამგებლობის პერიოდში ეს პრობლემა მთლიანად მოგვარდა.

2013 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტმა საქართველოში პირველმა გააუქმა საბავშვო ბაღებში გადასახადი. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა თითქმის ყველა ბაღის შენობას. რამდენიმე ახალი ბაღიც შეემატა ჩვენს რაიონს.

გარემონტდა 9 საჯარო სკოლა, ჩემი გამგებლობის ერთლიან პერიოდში გაცილებით მეტი თანხა დაიხარჯა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, ვიდრე წინა ხელისუფლების 9 წლიანი მმართველობის დროს.

ჩვენი მთავრობის დაპირება იყო, რომ ავაშენებდით უახლოესი სამედიცინო ინვენტარით აღჭურვილ ახალ საავადმყოფოს და ეს დაპირება შევასრულეთ. ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრში აშენდა 25 საწოლზე გათვლილი მრავალპროფილური საავადმყოფო, რომლის საინვესტიციო ღირებულება 4 580 000 ლარია.

ბოლო 4 წლის განმავლობაში დედოფლისწყაროში 371 პროექტი განხორციელდა.

თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი და ჩვენ ერთად შევძლებთ უამრავი იმ პროექტის განხორციელებას, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის აუცილებელია.

ჩვენი მიზანი იყო და არის, რომ თითოეულ დედოფლისწყაროელს თავი ეგრძნო ღირსეულ ადამიანად, პიროვნებად, საკუთარი ქვეყნის სრულუფლებიან მოქალაქედ, ვისზეც სახელმწიფო ზრუნავს.

მიყვარხართ, ჩემო ქიზიყელებო. „ქართული ოცნება“ და თქვენი თანადგომა მაძლევს საშუალებას, რომ ისევ თქვენთან ვიყო, ერთად განვვითარდეთ, ვიშრომოთ, ვისწავლოთ და ერთად შევქმნათ ის უკეთესი მომავალი, რომელსაც ნამდვილად ვიმსახურებთ.

დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ყველას ნდობისთვის! მიგულეთ ყოველთვის თქვენს გვერდით, თქვენი პრობლემებისა თუ სიხარულის გამზიარებლად!

გილოცავთ და იმედი მაქვს, რომ 2017 წელი სიახლის და წინსვლის წელიწადი იქნება!

პატივისცემით,
ირაკლი შიოლაშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი

ჩემო ძვირფასო დედოფლისწყაროელებო, გილოცათ ახალ წელს!

ახალ წელს ყოველთვის განსაკუთრებულად ვხვდებით: იმედით შევყურებთ, ოცნების ასრულებას ვთხოვთ და, რაც მთავარია, საზეიმო დახვედრას ვუწყობთ. ეს საღღესასწაულო ღამე ყველას გვაერთიანებს და სიყვარულით გვავსებს.

სანამ ახალ, 2017 წელს ჩავუთქვამდეთ სურვილებს, მანამდე, ვფიქრობ, 2016 წელი უნდა გავაცილოთ. წელი, რომელიც სავსე იყო ფაქტებით, მოვლენებით. ამ ერთ წელიწადში უამრავი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, როგორიცაა მრავალპროფილური საავადმყოფო და სოფელ არხილოსკალოს საზოგადოებრივი ცენტრი, სამთაწყაროფიროსმანი-საბათლოს დამაკავშირებელი გზა და ქედების გზის სრული რეაბილიტაციის ბოლო ეტაპის დაწყება, ამ პროექტებმა მოსახლეობას დროისა და თანხების დაზოგვის საშუალება მისცა. მსხვილ პროექტებთან ერთად შევძელით შედარებით მცირე, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარება, რომლებმაც შესამჩნევად გაუმჯობესა მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ხელისუფლებამ საზოგადოებას აჩვენა მთავარი პრიორიტეტები სოციალურად სამართლიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ. 2016 წელს კვლავ პრიორიტეტული იყო ადამიანების ჯანმრთელობის და სოციალური დაცვა, მომავალი თაობის აღზრდისთვის შესაფერისი პირობების შექმნა. 2017 წელსაც გაგრძელდება ეს ტრადიცია.

ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ თითოეული ჩვენგანის, ჩვენი დედოფლისწყაროს და მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობაზე. ერთად დგომით, თანამშრომლობით, მიმტევებლობით უნდა ავაშენოთ ჩვენი შვილების საამაყო ქვეყანა.

ახალი წელი სიახლის, იმედისა და სიხარულის მომტანია. მთავარია გვახსოვდეს, რომ ერთად დგომით და ერთმანეთის მხარდაჭერით ჩვენ შევძლებთ ყველაფერს!

ღიმილით შევეგებოთ ახალ 2017 წელს და გვქონდეს რწმენა იმისა, რომ ახალი წელი ჩვენი ოცნებების ასრულებას დაუდებს დასაბამს.

გილოცავთ და მჯერა, რომ 2017 წელი საქართველოსთვის მშვიდობისა და წინსვლის წელიწადი იქნება!

პატივისცემით,
ნიკოლოზ ჯანიაშვილი,
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი

გილოცავთ შობა-ახალ წელს. ახალი წელი ყველა ადამიანისთვის გამორჩეული დღესასწაულია, რადგან ესაა იმედი ახლის მოლოდინისა. დროთა განმავლობაში იცვლება საახალწლო ტრადიციები და ახალ წეს-ჩვეულებებს ეყრება საფუძველი, მაგრამ უცვლელი რჩება სიხარული და განახლების რწმენა, რომელიც ამ დღეს უკავშირდება. 2016 წელს არაერთი სასიკეთო საქმე განხორციელდა და მომავლის პროექტებსაც ჩაეყარა საფუძველი. გამოვთქვამ სურვილს, რომ 2017 წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისა და მთელი ქვეყნისათვის იყოს გაცილებით უკეთესი, ვიდრე გასული წლები. მონდომებისა და შრომის წყალობით კი ამის გაკეთება შესაძლებელია. ასევე მინდა მოგილოცოთ განკაცებული უფლის შობა, რომელიც ყველა ქრისტიანისათვის უდიდესი დღესასწაულია. ბედნიერი შობა-ახალი წელი გაგთენებოდეთ. ხვავი, ბარაქა, სიხარული და ბედნიერება დაგბედებოდეთ. უფლის წყალობა ჰქონოდეს თქვენს ოჯახებსა და სრულიად საქართველოს.

პატივისცემით,
ზვიად ჯავახიშვილი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“

2017 წლისთვის გაზეთ „შირაქის“ პერიოდულობა კვლავ ყოველკვირეული იქნება, რვაგვერდიანი და ფერადი. გამოწერის ღირებულება მთელი წლით 15 ლარი ეღირება, 6 თვით - 7,50 ლარი.

გამოიწერეთ გაზეთი „შირაქი“ – შეიტყეთ ყველაფერი დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

რომელი ფილმებით ხვდებიან ახალ წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში

გვ. 2

„კახეთის საათი“

„ობიექტივზე“

ახალი დროით

კვირა 12:30

საახალწლო სათხოვარი „სოკარს“

ღია წერილი კომპანია „სოკარ ჯორჯია-გაზის“ დირექტორს ამერ მამმადოვს

საქართველო, თბილისი, 300 არაგველის ქ. №24.

მოგესალმებით და მოგილოცავთ შობა-ახალწელს. „სოკარი“ წარმატებული კომპანიაა და თქვენი მუშაობით კმაყოფილები ვართ. ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა ჩვენს რაიონშიც. თქვენი აღმოსავლეთის რეგიონალური ოფისის დედოფლისწყაროს სერვისცენტრის მენეჯერი თემურ გოგილაშვილი და მისი თანამშრომლები კეთილსინდისიერად ასრულებენ თავის მოვალეობას და ბუნებრივი აირის მოწოდება თითქმის შეუფერხებლად ხდება. იმ შემთხვევაში, თუ სარემონტო სამუშაოების აუცილებლობა დგება, ისინი მოსახლეობას ატყობინებენ აირის გამორთვის და ჩართვის დროს, რათა თავიდან ავიცილოთ გაუფრთხილებლობით გამოწვეული უსიამოვნო ინციდენტები. მაგრამ არის საკითხი, რომელსაც დედოფლისწყაროს სერვისცენტრი ვერ მოაგვარებს. მოხმარებული აირის გადასახადს მოსახლეობა რეგულარულად იხდის. პრობლემა კი ის არის, რომ „სოკარის“ გადასახადების ტერმინალი მხოლოდ ქალაქის შემოსასვლელში „სოკარის“ ბენზინგასამართ სადგურთან და თვით სერვისცენტრის ადმინისტრაციულ შენობასთან – ქალაქის გარეუბანში დგას. ისინი რაიონული ცენტრიდან და ერთმანეთსგანაც დიდი მანძილით არიან დაშორებული. ამიტომ ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ სარგებლობს ამ ტერმინალებით და იძულებულია, ისარგებლოს „ლიბერთი ბანკის“, „საქართველოს ბანკის“ და „თიბისი ბანკის“ ტერმინალებით, სადაც საკმაოდ მაღალი საკომისიოს გადახდა გვიწევს. თითოეულ ქვითარზე 0,75 და 0,50 თეთრს ვიხდით, რაც წლიურად თუ გადავიანგარიშებთ, ჩვენთვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, არცთუ პატარა ტვირთია. ამიტომ, გვინდა გთხოვოთ, „სოკარის“ გადასახდელი ტერმინალი დადგათ ქალაქის ცენტრში, მაგალითად, გამგეობის მიმდინარე ტერიტორიაზე, რათა შევძლოთ საკომისიო გადასახადის გარეშე მოხმარებული აირის ზუსტი საფასურის გადახდა. ისედაც ეკონომიურად გაჭირვებული ადამიანები ლარის და ორი ლარის გაზს რომ ვხმარობთ, ზედ 75 თეთრ საკომისიოს ვამატებთ. ვიმედოვნებთ, ამ საახალწლო თხოვნას გაითვალისწინებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს თქვენთვის რთული შესასრულებელი არ არის. ამით კი თქვენი აბონენტები კმაყოფილი დავრჩებით.

ვთხოვთ დედოფლისწყაროს სერვისცენტრის ადმინისტრაციას, მოგაწვდინოთ ჩვენი ხმა და შეასრულოს შაუამვლის როლი.

წინასწარ გიხდით მადლობას, რადგან გვჯერა, რომ ამ თქვენთვის პატარა და ჩვენთვის დიდ პრობლემას მოგვიგვარებთ.

ქალაქ დედოფლისწყაროს ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ევდოშვილის, თეატრის, რუსთაველის, ალადაშვილის, გოგებაშვილის, ანტონ ნატროშვილის, მთის და სხვა ქუჩების სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სახელით

მეგი ნანოგაშვილი

როგორ ხვდებით ახალ 2017 წელს?

რაც არ უნდა იყოს, ახალი წელი, მაინც ყველაზე დიდი დღესასწაულია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და ის დიდი საზეიმო განწყობებით აღინიშნება ყველგან. საქართველოში ტრადიციას არ ღალატობენ და გვაქვს თუ არა, ოჯახში საუკეთესო სუფრის გაშლით, სტუმრების გადაპატიჟებით და მასპინძლობით იწყება და მთავრდება. როგორი განწყობით ეგებებიან ახალ წელს დედოფლისწყაროელები? გაზეთმა „შირაქმა“ გამოკითხვა ჩაატარა.

ცარო მარტიაშვილი, – **კულტურის სახლის დირექტორი,** რეჟისორი- „როგორ ვხვდები ახალ წელს? მე არ მიყვარს მოსაბეზრებელი ერთფეროვნება საახალწლო სუფრას რომ ეძახიან. ყოველ წელს ერთი და იგივე და ყველგან ერთი და იგივე. რაღაცნაირად, თითქოს სავალდებულოა. ვერ ვიტან სალათებს და არც არასოდეს არ ვამზადებ. ჩემი სიმპატიები უფრო კაცური საჭმელებისაკენ იხრება. კარგად რასაც ვამზადებ, ეს არის ხინკალი. მკვეთრად ჩამოყალიბებული ტრადიცია ნამდვილად არა მაქვს. სიტუაციის და განწყობილების მიხედვით ვმოქმედებ. საახალწლო სუფრაზე კი ჩემთვის მთავარი საუკეთესო ხარისხის ღვინო და სასიამოვნო გარემოა. ძალიან მჯერა მეკვლის და კარგი ფეხის. 2017 წელს განსაკუთრებულს არაფერს ველოდები. მხოლოდ მინდა, იყოს მშვიდობა და ყველა ჩემი ახლობელი იყოს ჯანმრთელი, წარმატებული და ბედნიერი.“

მედეა საღირაშვილი, **სპორტის ცენტრის სპეციალისტი,**- „განსაკუთრებული არაფერი -ტრადიციულად გოზინაყი,საცივი და ტკბილეულის სუფრას ვაკეთებთ, ახალ წელს ოჯახში ვხვდებით. განსაკუთრებით არც ერთი კერძის მომზადება არ გამომდის, დედაა ხოლმე კულინარი და იმედი მაქვს, 2017 წელი საუკეთესო იქნება და წარმატებული.“

ანასტასია ყოჩიაშვილი, **ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მოსწავლე** – „ახალ წელს ჩვენ ყოველთვის ერთად ვხვდებით ოჯახში, დიდ საახალწლო სუფრასთან. 12 საათის შემდეგ კი, მეკვლეს ველოდებით. საახალწლო კერძებიდან ყველაზე მეტად მიყვარს საცივი. მე ძალიან მიყვარს ახალი წელი და მოუთმენლად ველოდები მას. 2017 წელს გისურვებთ ბედნიერებას, უფლის წყალობას და ულევ სიხარულს ყველას.“

ლალი მეხრიშვილი

რომელი ფილმებით ხვდებიან ახალ წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში

ახალი წლის პირველ დღეებში ადამიანები ცდილობენ სატელევიზიო ეკრანების წინ მოიკალათონ და საახალწლო ფილმების მეშვეობით სადღესასწაულო განწყობა შეიქმნან. საქართველოში ახალი წელი ალბათ, წარმოუდგენელია "ბედის ირონიისა" და "მარტო სახლშის" გარეშე.

მოდით ვნახოთ, რომელიც ფილმებით ხვდებიან ახალი წლის დღეებს სხვადასხვა ქვეყნებში.

აშშ- Home Alone (1990)

ამერიკული ოჯახი ახალი წლის შესახვედრად ჩიკაგოდან ევროპაში აპირებს ჩასვლას. სიჩქარეში მშობლებს სახლში ერთ-ერთი შვილი რჩებათ. მიუხედავად ამისა, სახლში მარტო დარჩენილი ბავშვი გონიერების საოცარ უნარს ავლენს და როდესაც სახლში ნამდვილი მძარცველები შეიპარებიან, ისინი არაერთხელ ინანებენ პატარასთან შეხვედრას.

საფრანგეთი - Le Père Noël Est Une Ordure (1982)

ფილმის ყურებისას ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ, თითქოს, მთელი საფრანგეთის შეშლილებმა ახალი წლის ერთად შეხვედრა გადაწყვიტეს. პიერი და ტერეზა ნდობის ტელეფონის ოპერატორები არიან, ჟოზეტა გარეუბანში მცხოვრები ჭკუამხიარული ქალია, ხოლო მისი მეგობარი ფელიქსი პარიზის ქუჩებში თოვლის ბაბუად მუშაობს. გარდა ამისა, ყველა, ვინც კადრში მოხვდება, ამართლებს აბზაცის პირველ წინადადებას.

დიდი ბრიტანეთი - გოვე აცტუალლუ (2003)

სიყვარული - დაუვიწყარი, მოულოდნელი, ამოუხსნელია.

სიყვარული ჭეშმარიტად მართავს ყველას და ყველაფერს ჩვენს გარშემო.

პრემიერ-მინისტრიდან დაწყებული, რომელსაც საკუთარი აპარატის თანამშრომელი შეუყვარდება და მწერლით დამთავრებული, რომელიც საფრანგეთის სამხრეთში გაემგზავრება, რათა გატეხილი გული გაიმრთელოს.

იტალია - The Christmas That Almost Wasn't (1966)

შობის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, სემ უიპლის სანტა კლაუსი ესტუმრება, რომელიც შეახსენებს, რომ ბავშვობაში მან სანტას წერილი მიწერა, სადაც მადლობას უხდიდა საჩუქრების გამო და პირობა მისცა, თუკი ოდესმე თოვლის ბაბუას მისი დახმარება დასჭირდებოდა, იგი ყველაფერს იღონებდა.

საქმე კი ის იყო, რომ მოხუცი ფინეას პრინი, რომელსაც ჩრდილოეთ პოლუსი ეკუთვნის, სანტას მისი საცხოვრებელი სახლისა და საჩუქარების მწარმოებელი ქარხნის იჯარის გადახდას სთხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მფლობელი, მისი ოჯახის წევრებისა და ელფების გასახლებითა და სათამაშოების ქარხნის წართმევით ემუქრება. სანტამ და სემმა უნდა იპოვონ გამოსავალი, რათა შობა გადაარჩინონ.

ფინეთი - Rare Exports: A Christmas Tale (2010)

ეს არის ფილმი ყველასათვის, ვინც ფიქრობს, რომ არ სჯერა თოვლის ბაბუის არსებობის. ლაპლანდიის დათოვლილი მთების მახლობლად, 486 მეტრის სიღრმეზე მნიშვნელოვანი აღმოაჩენა გააკეთეს.

ახლა დროა, აღმოჩენის შესახებ მთელმა მსოფლიომ შეიტყოს.

გერმანია - Der 90. Geburtstag oder Dinner for One (1963)

მოხუც ქალს სურს, საკუთარ მეგობრებთან ერთად ივახშმოს საშობაოდ, მაგრამ იმის გამო, რომ ყველა მათგანი უკვე დიდი ხნის წინ გარდაიცვალა, მის მსახურს თითოეული მეგობრის განსახიერება უწევს.

ნორვეგია - Journey to the Christmas Star (2012)

პატარა პრინცესა გიულტოპს ძალიან უნდოდა საშობაო ვარსკვლავის პოვნა, რის გამოც, მშობლებისგან მალულად სახლიდან გაიპარება. სიტუაციით სარგებლობას ბოროტი გრაფი გადაწყვეტს, რომელიც ტახტის მოპოვების მიზნით, ყველა შასაძლო ღონეს ხმარობს, რომ პრინცესა დაიღუპოს.

დედოფალი ცდილობს იპოვოს საკუთარი შვილი, მაგრამ ძიების დროს თვითონაც იკარგება. მეფე მიხვდება, რომ მეუღლისა და შვილის დაბრუნებას მხოლოდ საშობაო ვარსკვლავის პოვნით მოახერხებს.

თუმცა, ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად, პრინცესა გადარჩება. მას მოხეტიალე მუსიკოსების ჯგუფი გადაარჩენს. მრავალი თავგადასავლის შემდეგ, ტყის ფერიების და კეთილი სულების დახმარებით, ოჯახის წევრები ერთმანეთს მაინც შეხვდებიან.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

ლოტი	მისამართი	ქონების დასახელება	საკადასტრო კოდი	ფართობი	საწყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში)	„ბე“ საწყისი ფასის (ლარებში)	„ბიჯი“ საწყისი ფასის (ლარებში)	„მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)
1	ქალაქი დედოფლისწყარო, ქიზიყის ქ. N 2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.33.169	2647,0 კვ.მ.	8000	10%	5%	100
2	ქალაქი დედოფლისწყარო, ა. ნატროშვილის ქუჩა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	52.08.35.234	370,0 კვ.მ.	2500	10%	5%	100
3	ქ. დედოფლისწყარო, ჰერეთის ქ. N47	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ყოფილი სავაჭრო ცენტრის შენობის პირველი სართული და სარდაფი (სასურსათო განყოფილება)	52.08.34.063	157,0 კვ.მ. (სასარგებლო ფართი 418,0 კვ.მ)	16000	10%	5%	100
4	ქ. დედოფლისწყარო, ჰერეთის ქ. N47	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული ყოფილი სავაჭრო ცენტრის შენობის პირველი სართული და სარდაფი (საკანცელარიო განყოფილება)	52.08.34.063	51,0 კვ.მ (სასარგებლო ფართი 135,0 კვ.მ.)	9000	10%	5%	100

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ან იმ პირთა გაერთიანებას რომლის ქონებაშიც, საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.
აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური. ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 ^{00} სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 ^{00} სთ-ზე.
აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 ^{00} სთ-ზე.
მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ.N44, მე-3 სართული, გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.
აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განაცხადს, დადგენილი ფორმის მიხედვით;

2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222; კოდი- 300533390 (არასასოფლი-სამეურნეო დანისნულების მიწის ნაკვეთი); კოდი-300533325 (არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით); პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

აუქციონში მონაწილეს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ გადაეცემა აუქციონზე დასწრების ბილეთი.

აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება.

გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. N44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.
საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

საუქციონო კომისია

საახალწლო განწყობაა დედოფლისწყაროში

კიდევ ერთი წელი მიილია თავისი ავით და კარგით. ულხინთ თუ უჭირთ, ადამიანები ტრადიციას არ ღალატობენ და მომავალი - 2017 წლის შესახვედრად ემზადებიან. ქალაქი უკვე საზეიმოდ მოირთო: ფერადი განათებები დამონტაჟდა ქუჩებში, ცენტრში, შადრევანის ადგილზე კი- ნაძვის ხე მოიკაზმა. ფუსფუსია მაღაზიებში, ბაზარში. ზოგი თვეობით დაზოგილ ლარებს მომჭირნეობით ხარჯავს, ზოგი – ხელგაშლილია . ასეა თუ ისე, მობრძანდება წელი ახალი და მას დახვედრა უნდა. საბედნიეროდ, არის ადგილები, სადაც ყველაფერი, რაც გარეთ ხდება, გავიწყდება და ბედნიერი ხარ მათთან ერთად, ვისაც სულაც არ ადარდებს ქონა-არქონა. მათთვის ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს იდეალურ შემთხვევაში. ეს არის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები – ჩვენი საბავშვო ბაგა-ბაღები. ქვეყნის და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის უპირველესი პრიორიტეტია სწორედ ჩვენი ბავშვების განვითარებისათვის შექმნას ყველა პირობა, რადგან ეს არის მყარი ფუნდამენტის ჩაყრა საიმედო მომავალი თაობის აღზრდისათვის. სწორედ ამიტომ მომავალი წლის ბიუჯეტში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის სამსახურს 100 000 ლარით გაუზარდა დაფინანსება მათი პირობებისა და კვების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის.

ამ დღეებში ყველა საბავშვო ბაღში საახალწლო ზეიმი გაიმართა. ამჯერად ჩვენი ქალაქის №3 ბაგა-ბაღის 5-6 წლიანთა ზეიმს ვესწრებით. დარბაზი საახალწლოდაა მორთული, ბავშვებიც – შესაბამისად: ზოგი კურდღელია, ზოგი მელია, ზოგი ფიფქი და ზოგიც თაგუნია. ჯგუფის აღმზრდელს ნანა სეხნიაშვილს, მის თანაშემწეს ხათუნა მენთეშაშვილს და მუსიკის მასწავლებელს ხათუნა ჯანაშვილს, როგორც ყოველთვის, ახლაც ბევრი უმუშავიათ იმისათვის, რომ პროგრამა ყოფილიყო საინტერესო და ბავშვების შესრულება კი – პოფესიონალური. ჩვენ ყველა ჯადოსნური სამყაროდან მოვდივართო, მღერიან ბავშვები და მართლაც ასეა, რადგან მატყუარა მელაკუდას მცდელობა იყოს „მეფე“, მარცხით მთავრდება, ისე „ეტრფიან“ ერთმანეთს წუნა და წრუწუნა, სიყვარული მოგინდება, სამ ხმაში „აშენებენ“ სოფელს მამალი, ყურშა და მელაკუდა, თუმცა, იციან, რომ ყეფით, ყივილით და ტყუილით სოფელი ვერ აშენდება, ზოგი „ქართულის“ ცეკვით იწონებს თავს, ზოგი – „ბაღდადურით“, ზოგიც – „ბოშურით“, მღერიან ცალ-ცალკე და გუნდურად... ზიზებს ნინო ღორაშვილს და ირინა ხარებაშვილს თოვლის ბებოს და თოვლის პაპის კოსტუმები მოურგიათ და ბავშვებთან ერთად ილხენენ და მხიარულობენ. ზეიმის დასასრულს სამივე ლუკას, თამუნას, ალინას, ორივე დათუნას, ანანოს, გიგას, მარიამს, ანას, ირაკლის, სანდროს, ორივე ბარბარეს, გიორგის, ეკას, გვანცას, იულიას, ნინოს, ანასტასიას, თათიას მადლობას უხდის და ზეიმს ულოცავს ბაგა-ბაღის დირექტრი მაია ფოცხვერაშვილი-გონაშვილი: ჩემო საყვარელო ბავშვებო, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, მშვიდობის, ბედნიერების, სიხარულის და სიკეთის მომტანი იყოს ის თქვენთვის. გმადლობთ, რომ თავი არ დაზოგეთ და დღეს დაამტკიცეთ, რომ საუკეთესოები ხართ.

ზეიმს ესწრებოდა სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტრიი მაია ყოჩიაშვილი.

თქვენი სახელით, ჩვენო ძვირფასო ბავშვებო, ყველა პატარას ვულოცავთ ახალ წელს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებთ თითოეულ მათგანს.

ნაირა გორაშვილი

ახალ წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლშიც ელიან

ახალი წლის მობრძანება წინასაახალწლო ზეიმით აღნიშნეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებმა და ბავშვებმა. ყოველ სასწავლო წელს ამ ორგანიზაციაში არაერთი აღსაზრდელი დადის სხვადასხვა წრეზე, სადაც ეუფლებიან სკოლისგარეშე სასწავლო აღმზრდელობით უნარ-ჩვევებს. სწორედ ამ კუთხით, წლის მანძილზე გაწეული შრომისა და ათვისებული ცოდნის კრებითობას წარმოადგენდა ეს ღონისძიებაც, რომელიც თემატურად ახალი წლის მასალით იყო გაჯერებული. ღონისძიება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა თამარ ლაპიაშვილმა გახსნა და დამდეგი ახალი წელი მიულოცა დამსწრე საზოგადოებას: -„ქალმა უფალს სთხოვა, რომ ბედნიერება მაჩუქეო, უფალმა შეუსრულა ეს სურვილი და აჩუქა შვილი. მას შემდეგ ქალი შვილით ხარობს, ჩვენი სახლი კი, ბავშვთა სიმრავლით. ღმერთმა ქნას, რომ ჩვენი ერი გამრავლდეს და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები ბავშვებით კიდევ უფრო აივსოს!“-აღნიშნა დასაწყისში თამარ ლაპიაშვილმა და სიტყვა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სპეციალისტებს – თამარ აბულაძეს და ლია ნატროშვილს გადასცა, რომლებმაც მაყურებელს ძალიან ლამაზი სიტყვებით მიმართეს და ლექსები წაუკითხეს. ახალი წელი მოგვილოცა უფროსმა პედაგოგმა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ღვაწლმოსილმა მუშაკმა ნინო სიფრაშვილმა. მსმენელის წინაშე წარსდგნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორის პედაგოგის თამარ ასანიშვილის მოსწავლეები, რომლებმაც ფანდურის თანხლებით შეგვისრულეს ხალხური სიმღერები. ამის შემდეგ სცენა ლამაზ, რუსულ ფორმაში გამოწყობილმა 29 გოგონამ და ბიჭუნამ დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ორი წლის წინ აღდგა რამდენიმე წლის წინ გაუქმებული რუსული ენის შემსწავლელი წრე, რომელსაც შესანიშნავად უძღვება რუსული ენა-ლიტერატურის სპეციალისტი, პედაგოგი მაია გაგნიაშვილი. ქალბატონი მაიას უკვე მოსწავლეთა 4 ჯგუფი ჰყავს, რომელშიც მთლიანობაში 29 მოსწავლეა გაერთიანებულ. რუსულად ამღერებული მოსწავლეები და რუსულ პოეზიას ნაზიარები მომავალი თაობა ჩვენს წინაშე იდგა. ღონისძიება ბიჭუნების და გოგონების გასართობი შეჯიბრით და რუსული ცეკვებით დასრულდა. აქ ნამდვილად გაჩნდა ის განწყობა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც ბავშვებისთის თბილი გარემოა შექმნილი, ნამდვილად ასრულებს თავის ფუნქციას – აღზარდოს განათლებული და საზოგადოებასთან ინტეგრირებული მომავალი თაობა.

ლალი მეხრიშვილი

სამადლობელი წერილი

ამბობენ, განსაცდელში გამოჩნდებაო ადამიანის დამოკიდებულება მოყვასის მიმართ. ძნელბედობის ჟამს, როდესაც წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის საპატრიარქოს სკოლა-ინტერნატში გაჩენილმა ხანძარმა გაანადგურა სკოლის შენობის ახლად შეკეთებული სახურავი, გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები, რომელთაც გულთან მიიტანეს ჩვენი პრობლემა. გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ყველას, ვინც მცირედი წვლილი მაინც შეიტანა სკოლის შენობის აღდგენა - რეაბილიტაციაში. შეიძლება ყველა სახელითა და გვარით ვერ მოვიხსენოთ, მაგრამ წმ.ილია მართალი ბრძანებს: „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო“. განსაკუთრებით გვინდა ავღნიშნოთ საკათედრო ტაძრის მრევლის, მგალობლების და სტიქაროსნების გვერდში დგომა. ასევე ბიზნესმენი გია აკოფიანისა და ექიმ გიორგი ძაგნიძის მატერიალური მხარდაჭერა. ადგილობრივი მეცენატების- ლექსო მოდებაძის, ნუგზარ ალუღიშვილის, სოსო ნატროშვილის, ირაკლი ყოჩიაშვილის, ვახტანგ კიკილაშვილის და სხვათა დახმარება. აღდგენით სამუშაოებში დიდი ენთუზიაზმით შრომობდნენ ახალგაზრდები „კამიშოვკის“ უბნიდან, ასევე „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ბატონ დავით ფხოველიშვილის უანგარო და დაუღალავი შრომა.

ბედნიერ შობა-ახალ წელს გისურვებთ, კეთილო ადამიანებო. უფალმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, მაღალი ჭერი -მრავალჟამიერი და სიხარული არ მოგკლებოდეს თქვენს ოჯახებს.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენს კეთილ მაგალითზე კიდევ ბევრ ადამიანს გაუჩნდება სურვილი დაეხმაროს დაზარალებულ „ცოდნის ტაძარს“.

პედკოლექტივის სახელით და კეთილი სურვილებით
ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი დიმიტრი

ამინდი

	ორშაბათი 02.01	სამშაბათი 03.01	ოთხშაბათი 04.01	ხუთშაბათი 05.01	პარასკევი 06.01	შაბათი 07.01	კვირა 08.01
დღე	1 °	1 °	1 °	2 °	3 °	-6 °	-6 °
ღამე	−2 °	0 °	-1 °	0 °	-4 °	-8 °	-7 °

დედოფლისწყარო

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.